

ტრავმის ნარატივი: მესხიარება, სივრცე და თაობათა იდენტობა მუსლიმ მესხებში

ეკატერინე ფირცხალავა¹

აბსტრაქტი

მუსლიმი მესხების (*Ahıska Turks*) ისტორიული გამოცდილება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება ისტორიული ტრავმა სოციალური იდენტობის ცოცხალ და დინამიკურ სისტემად. ეს კვლევა მიზნად ისახავს ტრავმული მესხიერების თაობათაშორისი გადაცემისა და ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) ფორმირების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ადაპტირდება მრავალლოკალურ და ტრანსნაციონალურ კონტექსტებში. ემპირიული მონაცემები მოიცავს 2004-2025 წლებში ჩატარებულ ნარატიულ ინტერვიუებს საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ მუსლიმ მესხებთან. კვლევა ეფუძნება ტრავმული მესხიერების თეორიას, ჰიბრიდულობისა და ტრანსნაციონალიზმის მიდგომებს. შედეგები აჩვენებს, რომ ტრავმული გამოცდილება – რომელიც მოიცავს სტალინისდროინდელ დეპორტაციასა და ფერგანის კონფლიქტს – გადაიქცა არა მხოლოდ ინდივიდუალურ მესხიერებად, არამედ თაობათაშორისი გადაცემად სოციალურ და ემოციურ სისტემად. ოჯახური ნარატივები, რიტუალები და სიმბოლური პრაქტიკები მესხიერების გადაცემის ძირითად მექანიზმებს წარმოადგენენ. თაობებს შორის გამოვლინდა განსხვავებული სტრატეგიები: უფროსი თაობა ინარჩუნებს ტრადიციულ იდენტობას და ტრავმული მესხიერების სიმბოლოებს, მაშინ როდესაც ახალგაზრდები ქმნიან ჰიბრიდულ იდენტობებს, რომლებიც აერთიანებს ისტორიული წარმოშობის ემოციურ კავშირსა და ახალ სოციალურ გარემოებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიმბოლური სამშობლოსა და ემოციური სივრცეების კონსტრუქციას. ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები იქცა ემოციურ ღერძად იმ პირობებში, როდესაც რეალური დაბრუნება შეუძლებელია. ტრანსნაციონალური სოციალური ქსელები და ქორწინების ტრანსტერიტორიული ჯაჭვები ქმნის სოციალურ და ემოციურ კაპიტალს, რომელიც ჯგუფს გლობალურ მობილობასა და ახალ კულტურულ რეალობებში ადაპტაციაში ეხმარება. ამ კვლევის საფუძველზე შეიქმნა ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) თეორიული მოდელი, რომელიც აერთიანებს ტრავმული მესხიერების, ჰიბრიდული ადაპტაციისა და ტრანსნაციონალური კავშირების სინთეზს. ეს მოდელი მნიშვნელოვანი ანალიტიკური ინსტრუმენტია არა მხოლოდ მუსლიმი მესხების, არამედ სხვა იძულებით გადაადგილებული თემების შესასწავლადაც.

საკვანძო სიტყვები: მუსლიმი მესხები, ტრავმული მესხიერება, ჰიბრიდულობა, ტრანსნაციონალიზმი, სიმბოლური სამშობლო, ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა

1. შესავალი

თანამედროვე მიგრაციისა და იდენტობის კვლევებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ ტრანსფორმირდება ტრავმული გამოცდილება სოციალურ ნარატივებად და როგორ ცდილობენ ინდივიდები კუთვნილების განცდის ფორმირებას ტრანსნაციონალურ სივრცეებში (Hall, 1990; Bhabha, 1994; Hirsch, 2012; Vertovec, 2009). ამ კონტექსტში მუსლიმი მესხების შემთხვევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას

¹ ეკატერინე ფირცხალავა, ასოცირებული პროროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

იძენს – მუსლიმი მესხები (**Ahiska Turks**), რომელთა კოლექტიური ბიოგრაფია გაჯერებულია იძულებითი გადაადგილებების, ისტორიული ტრავმებისა და იდენტობის მრავალჯერადი ტრანსფორმაციის ეპიზოდებით. მუსლიმ მესხთა ტრავმის ნარატივი მხოლოდ ისტორიული მოვლენების აღწერა კი არ არის, არამედ სოციალური იდენტობის ფორმირების პროცესია, სადაც მეხსიერება, სივრცე და თაობათაშორისი განსხვავებები ერთობლივად განსაზღვრავს ადამიანების ემოციურ კავშირებს როგორც წარსულთან, ისე ახალ სოციალურ და კულტურულ გარემოებებთან (**Alexander, 2004; Eyerman, 2001**). ტრავმული მეხსიერება თაობებს შორის არ წარმოადგენს მხოლოდ ცოდნის გადაცემას, ის იქმნება ემოციურ და სიმბოლურ კონტექსტში, გადამუშავდება და ყოველ ახალ თაობაში ახალ შინაარსს იძენს.

ამ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ კვლევით კითხვებზე:

- როგორ გადაიცემა ტრავმული მეხსიერება თაობათა შორის?
- როგორ ფორმირდება სიმბოლური სივრცეები (მაგალითად, ახალციხის საფაშო)?
- როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ კუთვნილებას და როგორ ცდილობენ მის განმტკიცებას მიგრაციისა და ტრანსტერიტორიული გადაადგილების პროცესში?

კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა ტრავმული მეხსიერების თეორიას (**Alexander, 2004; Hirsch, 2012**), ჰიბრიდული იდენტობის კონცეფციას (**Bhabha, 1994; Gamsakhurdia, 2019**), ასევე, ტრანსნაციონალიზმისა და სივრცითი იდენტობის კვლევებს (**Vertovec, 2009; Proshansky და სხვ., 1983**).

კვლევის მიზნებია:

1. გაანალიზოს ტრავმის, სივრცისა და იდენტობის შეხების წერტილები მუსლიმ მესხთა ნარატივებში;
2. გამოავლინოს თაობათა და გენდერული განსხვავებები მეხსიერების გადაცემასა და კუთვნილების განცდის ფორმირების პროცესში;
3. წარმოადგინოს ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) თეორიული მოდელი, როგორც ახალი ანალიტიკური ჩარჩო სოციალური და კულტურული პრაქტიკების ინტერპრეტაციისთვის.

2. თეორიული ჩარჩო

მოცემული კვლევა ეფუძნება კომპლექსურ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ტრავმის, იდენტობის, ჰიბრიდულობის, ტრანსნაციონალიზმისა და ადაპტაციის თეორიებს, მათ შორის როგორც დასავლურ, ისე ადგილობრივ ინტელექტუალურ პარადიგმებს. სწორედ ამ ინტეგრირებულ მიდგომაზე დაფუძნებით შემუშავდა ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) ანალიტიკური მოდელი, რომელიც სთავაზობს იდენტობის გააზრების ახალ ჩარჩოს მოცემულ კვლევით კონტექსტში.

ტრავმული იდენტობის თეორია (**Alexander, 2004; Eyerman, 2001; Hirsch, 2012**) განმარტავს, თუ როგორ გარდაიქმნება ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმული გამოცდილება სოციალურ ნარატივებად, რომლებიც თაობათა შორის გადაიცემა. მუსლიმ მესხთა შემთხვევაში, ასეთი ნარატიული სტრუქტურა ეფუძნება 1944 წლის დეპორტაციასა და 1989 წლის ფერგანის კრიზისს – კოლექტიურ ტრავმებს, რომლებმაც განსაზღვრეს ჯგუფური თვითშეგნება და სოციალური იდენტობის ცენტრალური ღერძები.

ჰიბრიდულობის თეორია (Bhabha, 1994) და პროკულტურაციის კონცეფცია (Gamsakhurdia, 2019) აჩვენებენ, როგორ ახერხებენ მიგრანტები კულტურული კოდეზის შენარჩუნებასა და თანადროულად ახალ სოციალურ სტანდარტებთან ადაპტაციას. თუ ბაბას მიდგომა ხაზს უსვამს ჰიბრიდული იდენტობის ფორმირებას კულტურათაშორის „მესამე სივრცეში“, გამსახურდიას პროკულტურაციის კონცეფცია ეყრდნობა კულტურული ტრანსფორმაციის შიდა, ორგანულ პროცესს. ეს უკანასკნელი ასახავს ადაპტაციის იმ მექანიზმებს, რომლებიც სპეციფიკურია ქართულ სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.

ტრანსნაციონალიზმის თეორია (Vertovec, 2009; Levitt & Glick Schiller, 2004) განიხილავს, თუ როგორ ინარჩუნებენ მიგრანტები მრავალმხრივ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებს სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეს შორის. თუმცა ტრადიციული ტრანსნაციონალიზმი ხშირად ვერ ასახავს იმ სიმბოლურ და ემოციურ სივრცეებს, რომლებიც კრიტიკულია მიგრანტთა იდენტობის კონსტრუქციაში (Proshansky et al., 1983). მუსლიმი მეხსებისთვის ახალციხის საფაშო სწორედ ასეთი წარმოსახვითი სამშობლოა – ემოციური და სიმბოლური ღერძი, რომელიც იდენტობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

კოგნიტური დისონანსის თეორია (Festinger, 1957; Breakwell, 1986) განმარტავს, თუ როგორ ეჯახებიან მიგრანტები სხვადასხვა კულტურულ მოლოდინებსა და მოთხოვნებს და როგორ ავითარებენ ადაპტაციის შესაბამის სტრატეგიებს. მუსლიმ მეხსთა ნარატივებში კოგნიტური დისონანსი ვლინდება როგორც ტრადიციების შენარჩუნების მცდელობაში, ასევე ახალ სოციალურ როლებსა და გარემოსთან შესაბამისობაში მოსვლის პროცესში.

სტატიაში წარმოდგენილია ავტორის მიერ შემუშავებული ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) თეორიული მოდელი, რომელიც აერთიანებს ზემოაღნიშნულ თეორიებსა და კონცეფციებს და სთავაზობს ახალ ანალიტიკურ ჩარჩოს მიგრანტთა იდენტობის კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი შესწავლისთვის.

ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა (TTI) წარმოადგენს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ისტორიულ ტრავმას, მეხსიერებას, ჰიბრიდულ იდენტობასა და ტრანსნაციონალურ კავშირებს. აღნიშნული მოდელი შემუშავდა მოცემული კვლევის ფარგლებში და ეფუძნება რამდენიმე ძირეულ თეორიულ კომპონენტს:

ტრავმული მეხსიერება და პოსტმეხსიერება – კოლექტიური ტრავმის ემოციური და ინტერპრეტაციული გადაცემა თაობებს შორის, რომელიც არა მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს, არამედ მათი რეპრეზენტაციის ფორმებსაც მოიცავს (Alexander, 2004; Hirsch, 2012); ჰიბრიდულობა და კულტურათაშორისი ინტეგრაცია – თვითიდენტიფიკაციის მოქნილი ფორმები განსხვავებულ კულტურულ კოდეზს შორის გადაადგილებისას, რომლებიც მიგრანტებს ახალ გარემოებებთან შეგუების საშუალებას აძლევს (Bhabha, 1994); პროკულტურაცია – კულტურული მემკვიდრეობის შერჩევითი შენარჩუნება და მისი ტრანსფორმაცია ახალი სოციალური და კულტურული კონტექსტის შესაბამისად (Gamsakhurdia, 2019); სიმბოლური სივრცე და ემოციური გეოგრაფია – მეხსიერებითა და ემოციებით კონსტრუირებული „სამშობლოები“, რომელთა კავშირიც არა ფიზიკურ, არამედ სიმბოლურ და იდენტობით სივრცეს ეფუძნება (Proshansky et al., 1983; Anderson, 1983);

ტრანსნაციონალიზმი და ქსელური იდენტობა – ტრანსნაციონალურ კავშირებზე აგებული ცვალებადი იდენტობა, რომელიც სცდება ტრადიციულ, მონოლითურ იდენტობის ფორმებს (Vertovec, 2009). **TTI-ის მოდელი** იძლევა ანალიტიკურ შესაძლებლობას, გააზრებულ იქნას, თუ როგორ აღიქვამენ მიგრანტები საკუთარ იდენტობას არა ერთმნიშვნელოვან ეროვნულ ან ეთნიკურ ჩარჩოებში, არამედ როგორც მრავალშრიან, ემოციურად დატვირთულ და სივრცულად მოძრავ ფორმაციას.

ამ თეორიული ჩარჩოს საფუძველზე, ტრავმული იდენტობა განიხილება, როგორც **დინამიკური და მრავალგანზომილებიანი სოციალური კონსტრუქტი**, რომელიც მუდმივად ფორმირდება მიგრაციის, მეხსიერების და სივრცის გადაკვეთაზე. იგი საშუალებას იძლევა, მიგრანტთა ტრავმული გამოცდილება, მეხსიერების თაობათაშორისი გადაცემა და იდენტობის რეკონსტრუქცია გაანალიზდეს, როგორც კონტექსტზე დამოკიდებული, ცვალებადი და რთულად სტრუქტურირებული პროცესი.

3. კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მიდგომებს. თეორიულად კვლევა ემყარება კონსტრუქციონისტულ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც იდენტობა განიხილება, როგორც დინამიკური, სოციალურ-კულტურულ ურთიერთქმედებებში კონსტრუირებული ფორმაცია (Gergen, 1999). თვისებრივი კომპონენტი დაფუძნებულია ნარატიულ ანალიზზე (Riessman, 2008), რომელიც გამოყენებულ იქნა ტრავმული მეხსიერების თაობათაშორისი გადაცემის, სივრცის ემოციური სიმბოლიზაციისა და იდენტობის ნარატიული სტრატეგიების შესწავლისთვის.

რაოდენობრივი ნაწილი ეფუძნება ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა და სპეციალურად შემუშავებული ანკეით, რითაც შესაძლებელი გახდა იდენტობის, ფსიქოსოციალური მდგომარეობისა და მოქალაქეობრივი ჩართულობის სხვადასხვა ასპექტის რაოდენობრივი აღწერა და ანალიზი. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2012–2025 წლებში, ეტაპობრივად, სხვადასხვა გეოგრაფიულ და სოციალურ კონტექსტში. საქართველოში საველე სამუშაოები ჩატარდა 2017–2018 წლებში და მოიცავდა როგორც თემის შიგნით მყოფ მუსლიმ მესხებთან, ისე თემის გარეთ მოქმედ სოციალურ და ინსტიტუციურ წარმომადგენლებთან (მაგალითად: მასწავლებლები, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები, თემის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები) ინტერვიუებს. ამ ეტაპზე ჩატარდა: 60 სიღრმისეული ინტერვიუ; 250 რესპონდენტის რაოდენობრივი გამოკითხვა, შემდეგ დასახლებებში: ქობულეთი, ოზურგეთი, სამტრედია, ვალი, ახალციხე და თბილისი. ანკეტაში დემოგრაფიულ კითხვებთან ერთად ჩაშენებული იყო თვითაღწერის ფსიქოლოგიური საზომები: თვითაღწერის ტესტი: *Twenty Statements Test* (TST; Kuhn & McPartland, 1954); ბედნიერების სკალა: *The Oxford Happiness Questionnaire* (Hills & Argyle, 2002); სოციალური დისტანციის სკალა: *Bogardus Social Distance Scale* (Bogardus, 1924); კითხვები საერთო ნდობისა და სამოქალაქო ჩართულობის შესახებ; აკულტურაციის შეფასების სკალა: *East Asian Acculturation Measure* (EAAM; Barry, 2001), რომელიც ქართულ რეალობაზე ადაპტირებული იქნა ია შეყრილაძის მიერ. მონაცემები შეგროვდა პირისპირ გამოკითხვის

გზით: ოზურგეთსა და სამტრედიისში – ქართულ ენაზე; ახალციხისა და ვალის რაიონში – ნაწილი რუსულად, ნაწილი თურქულად, თარჯიმნის თანდასწრებით. აშშ-ში სავსე სამუშაოები მიმდინარეობდა 2012–2025 წლებში, განსაკუთრებით პენსილვანიასა და ილინოისის შტატებში. ჩატარდა: 81 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელშიც მონაწილეობდა ყველა თაობის წარმომადგენელი (ასაკი: 18–80 წელი); გენდერული ბალანსი: 52% ქალი, 48% კაცი. ინტერვიუების ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული გზამკვლევი, რომელიც დაფუძნებული იყო ღია კითხვებზე, კონკრეტული თემატური ბლოკების ირგვლივ.

ინტერვიუების ტექნიკური ფორმატები სავსე სამუშაოების დროის მიხედვით განსხვავდებოდა: 2012–2014 წლებში (აშშ) და 2017–2018 წლებში (საქართველო) ინტერვიუები ჩანერილი იყო აუდიოჩამწერებით; 2025 წელს ინტერვიუები ჩატარდა რესპონდენტთა თხოვნის შესაბამისად – მხოლოდ დეტალური ხელით ჩანაწერების ფორმატში.

ყველა ინტერვიუს წინ უძღოდა **ინფორმირებული თანხმობის პროცედურა**, ხოლო ეთიკური სტანდარტები სრულად შეესაბამებოდა შესაბამისი აკადემიური ინსტიტუტების (თსუ და Rutgers University) ეთიკის კომიტეტების რეგულაციებს. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები ერთმანეთს კომპლემენტარულად ავსებდა: რაოდენობრივი ანალიზი უზრუნველყოფდა ზოგად სურათს აკულტურაციული სტრატეგიების, თვითიდენტიფიკაციის ფორმებისა და სოციალური განწყობების შესახებ, ხოლო ნარატიული ინტერვიუები ამ მონაცემებს ამდიდრებდა ემოციური კონტექსტითა და ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული სიღრმით. ამგვარი სინთეზი ქმნიდა ტრიანგულაციის მყარ საფუძველს, რაც შესაძლებელს ხდიდა მონაცემების ინტერპრეტაციას თაობათა და გენდერული განსხვავებების ჭრილში. მაგალითად, ბერის აკულტურაციული მოდელით (Barry, 2001) გამოვლენილი სეპარაციული ტენდენციები, რომელთაც ხანდაზმული თაობა ავლენდა, ზუსტად შეესაბამებოდა ნარატიულ ინტერვიუებში გამოვლენილ დისკურსს, სადაც რესპონდენტები გამოკვეთილად საუბრობდნენ ტრადიციების შენარჩუნების მნიშვნელობაზე, კულტურული წყვეტების შიშზე და რელიგიური იდენტობის დაცვის საჭიროებაზე. მეორე მხრივ, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები უფრო ხშირად მიმართავდნენ ინტეგრაციულ და ჰიბრიდულ სტრატეგიებს, მათ ნარატივებში იკვეთებოდა კულტურული გახსნილობა, ენების შერწყმა და გლობალურ სოციალურ ქსელებში აქტიური მონაწილეობის სურვილი.

ამ მრავალგანზომილებიან მონაცემებზე დაფუძნებულმა ანალიზმა, რომელიც აერთიანებდა სტატისტიკურ ტენდენციებსა და პერსონალურ ნარატივებს, შესაძლებელი გახდა იდენტობის კონსტრუქციის პროცესების სოციო-ემოციური და კულტურულ-სიმბოლური კომპონენტების ერთობლივი წაკითხვა. საბოლოო ჯამში, შერეულ მეთოდზე დაფუძნებული კვლევის დიზაინმა – რომელიც ინტეგრირებდა რაოდენობრივ ჭრილში გამოკვეთილ სტრუქტურულ ტენდენციებსა და ნარატიულად წარმოდგენილ ინდივიდუალურ გამოცდილებებს – შექმნა მძლავრი ანალიტიკური ჩარჩო. ამ მიდგომამ კვლევას მიანიჭა: სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ემოციური მეხსიერების, ტრავმის და სივრცის მიმართ კუთვნილების მრავალნახნაგოვან გააზრებას; შედარებითი უპირატესობა, განსაკუთრებით თაობებს შორის

კულტურული დინამიკის, აკულტურაციის სტრატეგიების და იდენტობის ფორმირების ტრანსტერიტორიული პროცესების ინტერპრეტაციაში.

ანალიტიკური ჩარჩო. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა ნარატიულ-თემატური სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც აერთიანებდა *Braun & Clarke (2006)*-ის თემატური ანალიზის სტანდარტულ ეტაპებს და *Riessman (2008)*-ის ნარატიული სტრუქტურირების მიდგომებს. ამ მიდგომათა სინთეზი მიზნად ისახავდა არა მხოლოდ თემების იდენტიფიცირებას, არამედ იმ ნარატიული მოდელებისა და ემოციური კოდების გამოვლენას, რომლებიც სისტემატურად იკვეთებოდა თაობობრივ, გენდერულ და გეოგრაფიულ ჭრილებში. კოდირების პროცესი განხორციელდა ინდუქციურ-დედუქციური მიდგომის გამოყენებით. საწყის ეტაპზე განისაზღვრა ძირითადი ანალიტიკური კატეგორიები, რომლებიც ეყრდნობოდა კვლევის თეორიულ ჩარჩოს (მაგალითად: ტრავმული მეხსიერება, სივრცითი სიმბოლიზაცია, ჰიბრიდულობა, სოციალური კაპიტალი). ამავდროულად, ანალიზი დარჩა საკმარისად მოქნილი იმისათვის, რომ ნარატივებიდან გამომდინარე, ახალ თემებს მიეცათ ფორმალიზებული გამოხატულება. საბოლოოდ, გამოვლინდა 27 ძირითადი კოდი, რომლებიც შემდგომში დაჯგუფდა ხუთ თემატურ კლასტერში:

1. ტრავმული მეხსიერების ნარატიული სტრუქტურები – იმ ემოციური და სტრუქტურული ელემენტების ანალიზი, რომლითაც რესპონდენტები აღწერდნენ სტალინისდროინდელ დეპორტაციასა და ფერგანის კონფლიქტს;
2. თაობათაშორისი მეხსიერების გადაცემის ფორმები – როგორ ხდება ტრავმული გამოცდილების გადაცემა რიტუალების, სიმბოლური პრაქტიკებისა და ოჯახური ნარატივების მეშვეობით;
3. სივრცითი სიმბოლიზაცია და სიმბოლური სამშობლოს კონსტრუქცია – ახალციხის და მის გარშემო მდებარე სივრცეების რეპრეზენტაცია, როგორც ემოციური და იდენტობითი ღერძი;
4. ჰიბრიდული ადაპტაციის სტრატეგიები – კულტურული შერევის, ენობრივი მოქნილობისა და სოციალური მობილობის მაგალითები სხვადასხვა თაობასა და გარემოში;
5. სოციალური კაპიტალის ტრანსნაციონალური ქსელები – როგორ წარმოიქმნება და მუშაობს ოჯახური, ნათესაური და თემური კავშირების ქსელი გლობალურ კონტექსტში.

ტრანსკრიფცია შესრულდა სიტყვასიტყვით ქართულ ენაზე, რის შემდეგაც დაიწყო კოდირების პროცესი. ანალიზში მონაწილეობდა ორი დამოუკიდებელი მკვლევარი, რაც უზრუნველყოფდა ინტერპრეტაციის სიზუსტესა და მონაცემთა სანდოობას. გამოყენებული იყო „პარალელური კოდირების“ მეთოდი, რომლის ფარგლებში კოდების შედარებისა და თანხვედრის პროცესში მიღწეულ იქნა **92%-იანი** შეთანხმება, რაც მაღალი სტანდარტების შესაბამისად, ინტერპრეტაციის სიზუსტის ინდიკატორია. ანალიზის პროცესში გამოყენებული იყო ტრიანგულაციის მიდგომა (*source triangulation*) – მონაცემთა გადამოწმება თაობის, გენდერისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. თაობათა ინტერპრეტაციული განსხვავებები და გენდერულად დიფერენცირებული ნარატივები იძლეოდა შესაძლებლობას, უფრო ზუსტად და

ფრთხილად განგვესაზღვრა ზოგადი ტენდენციები იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ აფასებენ და აღიქვამენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფები საკუთარ მდგომარეობასა და როლს მიგრაციისა და კულტურული ცვლილებების კონტექსტში.

თემატური ანალიზი ემყარებოდა შემდეგ ძირითად კითხვებს:

- როგორ სტრუქტურირდება ტრავმული გამოცდილება თაობათა შორის?
- როგორ ფუნქციონირებს მესხიერება, როგორც იდენტობის გადაცემის მექანიზმი?
- როგორ აღიქმება სიმბოლური სივრცე ემოციურ კონტექსტში?
- როგორ იცვლება ადაპტაციის სტრატეგიები თაობათა და გენდერული ჭრილში?
- როგორ მართავენ რესპონდენტები საკუთარ კავშირს თემთან და დიასპორულ სივრცესთან?

მონაცემთა ეს შრეობრივი ანალიზი საფუძვლად დაედო ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) თეორიული მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც აერთიანებს სივრცით, თაობით და ემოციურ-სიმბოლურ კომპონენტებს.

ეთიკური ჩარჩო. კვლევითი პროცედურები სრულად შეესაბამებოდა აკადემიური ინსტიტუტების – თსუ-ს (საქართველო) და რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) ეთიკურ სტანდარტებს. ყველა რესპონდენტისგან მიღებული იყო ინფორმირებული თანხმობა ინტერვიუს დაწყებამდე, ხოლო ანონიმურობა და მონაცემთა კონფიდენციალურობა სრულად დაცული იყო ყველა ეტაპზე.

ძირითადი მიგნებები

4.1. ისტორიული კონტექსტი და ტრავმის საფუძველი

4.1.1. მუსლიმი მესხების ისტორიული წარსული და იდენტობის ფორმირება

მუსლიმი მესხების კოლექტიური ისტორია წარმოადგენს იძულებითი გადაადგილებისა და იდენტობის ტრანსფორმაციის მძლავრ ნარატივს. XVI საუკუნიდან, როდესაც მესხეთი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამის მიმდევარი გახდა და თურქულენოვანი, კუთხური იდენტობა ჩამოაყალიბა (Baramidze, 2011; Janiashvili, 2006). სწორედ ამ პერიოდიდან იწყება კულტურული ჰიბრიდულობა, რომლის ნიშნები დღესაც შეიმჩნევა რელიგიურ რიტუალებში, ენასა და ოჯახურ სტრუქტურებში.

საბჭოთა პერიოდი და იდენტობის პოლიტიკა. საბჭოთა ხელისუფლებამ მუსლიმი მესხების ეთნიკური კლასიფიკაცია პოლიტიკური სტრატეგიების შესაბამისად შეცვალა. 1930-იანი წლებიდან მათ დიდ ნაწილს ოფიციალურად მიენიჭათ „აზერების“ რსტატუსი, რაც კულტურული და ენობრივი ასიმილაციის ნაბაღისებას ისახავდა მიზნად (Sumbadze, 2002). ამან გააძლიერა კულტურული არასტაბილურობა და შიდა იდენტობის კონფლიქტები.

1944 წლის დეპორტაცია – ტრავმული მესხიერების საფუძველი. 1944 წლის 15 ნოემბერს, საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, დაახლოებით 92,000 მუსლიმი მესხი და სხვა მუსლიმური ჯგუფები შუა აზიაში გადაასახლეს (Bugai, 1994; Bugai & Mamaev,

2009). იძულებითი გადაადგილება იქცა მათი ტრავმული მეხსიერების ცენტრალურ მოვლენად. საცხოვრებელი ადგილების იძულებითი მიტოვება და დეპორტაციისას და-
ლუპულთა მოგონება თაობიდან თაობაზე ემოციური სიმბოლოების სახით გადაეცემა.

ფერგანის ტრაგედია და მეორედ გადასახლება. 1989 წელს ფერგანის ველზე ეთ-
ნიკური დაპირისპირების შედეგად, უზბეკეთში მცხოვრები მუსლიმი მესხები კვლავ
იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი და გადასულიყვნენ
აზერბაიჯანში, რუსეთსა და მოგვიანებით აშშ-ში (Aydingun, 2002; Trier & Khanzhin,
2007). ეს იყო მორიგი ტრავმული გამოცდილება, რომელმაც გაამყარა ტრავმული მეხ-
სიერება და ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის კონსტრუქცია.

ემიგრაცია შეერთებულ შტატებში და ტრანსნაციონალური იდენტობა. 2005 წლი-
დან აშშ-მა ათასობით მუსლიმი მესხი შეიფარა. ახალ სოციალურ და კულტურულ გა-
რემოში ისინი განაგრძობენ ჰიბრიდული ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავებას
და ტრანსნაციონალური სოციალური ქსელების ფორმირებას (Aydingun et al., 2006;
Pirtskhalava & Surmanidze, 2015). ამ ახალ გარემოში აშკარა გახდა თაობათა განსხვა-
ვება: უფროსი თაობა ცდილობს ტრადიციული იდენტობის შენარჩუნებას, ახალგაზ-
რდები კი ჰიბრიდულ იდენტობებს აყალიბებენ.

სიმბოლური სამშობლო და სივრცის ემოციური კონსტრუქცია. მიუხედავად იმისა,
რომ მესხეთში – მათ ისტორიულ სამშობლოში – ფიზიკური დაბრუნება მრავალი ოჯა-
ხისთვის შეუძლებელია, მორიგი გარემოებების გამო, ახალციხის საფაშო (Akhaltsikhe
Pashalik), როგორც ეს შემორჩა მათ მეხსიერებაში და მშობლების მიერ მეხსიერებით
გადმოცემული მემკვიდრეობითი ადგილი გადაიქცა სიმბოლურ სამშობლოდ. ეს სივ-
რცე ემოციურ და კულტურულ თვითშეგნებას აფუძნებს და ტრავმული მეხსიერების
ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად იქცა (Nora, 1989; Proshansky et al., 1983).

4.1.2 სახელდებების ცვლილება და იდენტობის სტიგმა, როგორც ტრავმის კომპონენტი

მუსლიმი მესხების ტრავმული გამოცდილება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზი-
კური დეპორტაციითა და იძულებითი გადაადგილებით. ტრავმის ნაწილს წარმოადგენს
ის **სტიგმატიზაცია**, რომელიც მათი იდენტობისკენ იყო მიმართული – სახელდებების
მრავალგზის ცვლილებები (მაგალითად: „მესხი“, „თურქი“, „დეპორტირებული“, „ახსკა
თურქი“) სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ქმნიდა გაურკვევლობას, რაც ასახავდა
როგორც **საზოგადოებრივ აღქმებს**, ისე **თვითშეგნების ფორმებს**.

ამ სახელდებებს თან ახლდა იდენტობის პოლიტიკურად დატვირთული კონტექ-
სტი, რომელმაც გააძლიერა ჯგუფის მარგინალიზაცია და თვითიდენტიფიკაციის მრა-
ვალფენოვანი სირთულე. შესაბამისად, ტრავმა ვლინდება არა მხოლოდ სივრცით გა-
დაადგილებაში, არამედ იდენტობის მიმართ ემოციურ და სიმბოლურ წნეხშიც, რაც
მრავალთაობიან ნარატივებში მტკიცედაა გაბმული. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად
მუსლიმი მესხები სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებოდნენ, რაც ასახავდა რო-
გორც სოციალური აღქმის ცვლადობას, ასევე პოლიტიკური ძალების მცდელობას მა-
თი იდენტობის რეკონსტრუქციისა და კონტროლისა. სხვადასხვა ეპოქაში მათ მიმართ

გამოიყენებოდა შემდეგი სახელები: „ქართველები“ – ერქვათ მათ რუსეთის იმპერიის კავკასიის პროვინციაში 1917 წლამდე და, ასევე, საქართველოს სსრ-ში რევოლუციის შემდგომ; „მუსლიმ ქართველებად“ – მოიხსენიებდნენ ამ რელიგიურ უმცირესობას ქრისტიანულ საბჭოთა საქართველოში; „მუსლიმი მესხი თურქები“ – იწოდებოდნენ რეგიონულ და ოსმალეთთან გენეალოგიურ კავშირებზე მითითებით; „მესხები“ – გეოგრაფიული იდენტობის ხაზგასმით; „თურქები“ – გენეალოგიური თვითშეგნების ზოგადი მაჩვენებლით და რელიგიის მიხედვით; „აზერები“ – გახდნენ მოგვიანებით, საბჭოთა ადმინისტრაციული კლასიფიკაციით ენობრივი და რელიგიური მსგავსებების საფუძველზე; „მესხი თურქები“ – სტალინის ეპოქის პოლიტიკური ტერმინია; „ახალციხელი თურქები“ ან „ახისკა თურქები“ რდ გახდნენ უკვე მოგვიანებით ემიგრაციისას, განსაკუთრებით აქტუალური გახდა აშშ-ში დამკვიდრების შემდეგ (Trier & Khanzhin, 2007).

ეს სახელდებების ცვალებადობა არ წარმოადგენდა მხოლოდ ადმინისტრაციულ თუ ეთნოგრაფიულ ფენომენს; იგი სიმბოლური ძალადობის გამოვლინებაც იყო. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ჯგუფი იძულებული ხდებოდა გარემოებების გამო მიეღო მისთვის გარედან მინიჭებული სახელები, რაც, როგორც ბრეკველი აღნიშნავს (Breakwell, 1986), იწვევს იდენტობის დესტაბილიზაციას და მასთან დაკავშირებულ სტიგმას.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ ტრავმის თეორიის მიხედვით (Caruth, 1996; Alexander, 2004), ასეთი სახელდებების ცვალებადობა ჯგუფურ მესხიერებაში აღიქმება არა მხოლოდ იდენტობის ცვლილებად, არამედ როგორც იდენტობის დაშლად და მუდმივი გარე კონტროლის სიმბოლოდ. ეს პროცესები აძლიერებს ტრავმულ გამოცდილებას და ხელს უწყობს მის გადაცემას თაობიდან თაობაზე.

საბოლოოდ, ტერმინი „ახისკა თურქი“ ჩამოყალიბდა სტრატეგიულ თვითდასახელებად, რომელიც ემიგრაციის კონტექსტში სოციალური აღიარებისა და ჯგუფის გადარჩენის ინსტრუმენტად იქცა. მიუხედავად ამისა, ეს სახელიც ასახავს კომპრომისს, რომელსაც ჯგუფი სთავაზობს სტიგმის გამონევენებასა და გლობალური სოციალური რეალობების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

4.1.3 ქართველობა, სტალინის და ბერიას ფიგურა ტრავმულ ნარატივებში და თანამედროვე სტიგმა

მუსლიმ მესხთა კოლექტიური მესხიერების ერთ-ერთი ძლიერი შრე არის ბიუროკრატიული რეპრესიების პერსონიფიცირება კონკრეტულ ისტორიულ ფიგურებში. იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია აღიქმებიან არა მხოლოდ როგორც საბჭოთა ძალაუფლების ინსტრუმენტები, არამედ როგორც ქართველი ლიდერები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჯგუფის დეპორტაციას.

ეს დისკურსი განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება თაობათაშორის ნარატივებში და ემოციურ გადმოცემებში. პერსონიფიცირებული ფიგურები ჯგუფის მესხიერებაში ასრულებენ ორმაგ როლს: როგორც საბჭოთა ძალადობის ავტორები და როგორც ქართული ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოღალატეები, რომლებმაც განახორციელეს

ეთნიკური წმენდა. ამგვარი შერწყმა აძლიერებს ტრავმულ განცდას – დეპორტაცია აღარ აღიქმება როგორც მხოლოდ პოლიტიკური რეპრესია, არამედ როგორც შინაგანი ღალატი, სადაც ეთნიკური იდენტობა გარდაიქმნა ძალადობრივი დისკურსის წყაროდ და დაკარგა თავისი ემოციური უსაფრთხოება.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„მათ გაგვასახლეს და მერე ქართველებმა აღარ მიგვიღეს უკან“ (71 წლის მამაკაცი, ინტერვიუ, 2025).

ეს ნარატივი ასახავს იმ ემოციურ სტრატეგიას, რომელიც ჯგუფმა ჩამოაყალიბა ტრავმული გამოცდილების გასააზრებლად და სოციალური იდენტობის კონსტრუირებისთვის. სტიგმა და ისტორიული ტრავმა, დროთა განმავლობაში, იქცა იმ სიმბოლურ სისტემად, რომელიც მუსლიმი მესხების ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად გვევლინება.

პერსონიფიცირებული ტრავმა და ეროვნული ღალატის ნარატივი ხაზგასმით აჩვენებს, რომ მუსლიმი მესხების კოლექტიური მეხსიერება არ არის მხოლოდ წარსულის მოვლენათა ქრონიკა. ეს არის ემოციური და სიმბოლური კონსტრუქცია, რომელიც აერთიანებს ისტორიულ ტრავმას, ეროვნული თვითშეგნების კრიზისს და ახალი თაობების მიერ იდენტობის ხელახალ ინტერპრეტაციას. სტალინი და ბერია ჯგუფის ცნობიერებაში გვევლინებიან, როგორც ძალადობის სიმბოლოები და ეროვნული მოღალატეები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს განცდას სახელმწიფო გარიყულობისა და საჭიროების – იზრდოლონ სოციალური აღიარებისთვის ტრავმისა და გაუცხოების ფონზე, ტრანსნაციონალურ სივრცეებში.

საქართველოს სახელმწიფოს სტიგმატური პოლიტიკა და საზოგადოებრივი სტერეოტიპები

დეპორტაციის შემდგომ და პოსტსაბჭოთა ეპოქაში საქართველოს სახელმწიფომ ვერ შეძლო მუსლიმ მესხთა ჯგუფის რეალური და ინკლუზიური რეინტეგრაციის უზრუნველყოფა. ეს გამოჩნდა როგორც სამართლებრივ, ასევე სოციალურ და კულტურულ დონეებზე.

1578-1883 წლებში მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილი, აგრეთვე აჭარა, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. კოლონიზაციის შედეგად მოხდა მოსახლეობის ნაწილის რელიგიური იდენტობის ცვლილება მართლმადიდებლობიდან სუნიტურ ისლამზე. რელიგიური ტრანსფორმაციის პარალელურად, ენობრივი გზებიც გაიყო: აჭარლებმა ქართული ენა შეინარჩუნეს, ხოლო მესხთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თურქული (ანატოლიური) დიალექტი აითვისა (Baramidze, 2011; Janiashvili, 2006). ენობრივი და კულტურული დიფერენციაცია, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა ნეიტრალურად აღქმულიყო, მოგვიანებით საქართველოს ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან სტიგმატიზაციის მნიშვნელოვან საფუძვლად ჩამოყალიბდა.

მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, აჭარლებმა ქართული ენა და კულტურული თვითმყოფადობა შეინარჩუნეს (Baramidze, 1998), ხოლო მუსლიმმა მესხებმა – ტრანსფორმაცია განიცადეს, რაც განპირობებული იყო მასობრივი გადაადგილებით და

ტრავმის ნარატივი: მეხსიერება, სივრცე და თაობათა იდენტობა მუსლიმ მესხებში

ტრავმული გამოცდილებით (Trier, 2010). მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იდენტობის ტრაექტორიათა შორის განსხვავებები აჭარლებსა და მუსლიმ მესხებს შორის.

ცხრილი 1. მესხი მუსლიმებისა და აჭარლების იდენტობის ტრაექტორიები

ასპექტი	აჭარლები	მუსლიმი მესხები
რელიგია	ისლამი (სუნიტური)	ისლამი (სუნიტური)
ენა	ქართული ენის შენარჩუნება	ენის დაკარგვა და თურქულზე გადასვლა
კულტურული იდენტობა	ქართული კულტურული კოდის შენარჩუნება	ტრანსფორმაცია თურქულ თვითაღქმაში
გადაადგილება	ადგილობრივი ინტეგრაცია	მასობრივი დეპორტაცია და ტრანსტერიტორიულობა

ამ განსხვავებას ხაზს უსვამენ თავად აჭარლებიც, რომლებიც ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მუსლიმი მესხების ქართველობას. საქართველოში ჩატარებულ ინტერვიუებში მეზობლად მცხოვრები აჭარლები ხმამაღლა აღნიშნავენ: „ეგენი რანა-ირი ქართველები არიან, ჩვენ მართალია, რწმენა დავკარგეთ, მაგრამ ენა შევინარჩუნეთ, ეგენი კი თურქულად ლაპარაკობენ“ ეს სტიგმა განსაკუთრებით მძაფრად განიცდება საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მუსლიმ მესხებთან.

ქართველობა, როგორც დუალური ნიშანი ტრავმულ ნარატივებში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმი მესხების ნარატივებში ქართველობას ორმაგი როლი უკავია – ერთი მხრივ, იგი აღიქმება როგორც ისტორიული წარმომავლობის წყარო და კავშირი წინაპართან, ხოლო მეორე მხრივ, როგორც სიმბოლური პასუხისმგებელი იმ ტრავმული გამოცდილებებისა და იდენტობის განდევნის პროცესისა, რისი გადატანაც მოუწია ამ თემს ისტორიულად. ეს დუალიზმი განსაკუთრებით ცხადად ვლინდება თაობათაშორის ნარატივებში, სადაც ხშირად გვხვდება ფორმულირებები:

„ჩვენ ქართველები ვიყავით, მაგრამ ქართველებმა გაგვყარეს“ ან

„თუ მართლაც ქართველები ვიყავით, რატომ დაგვადეპორტეს?“

ეს გამონათქვამები ასახავს ტრავმული მეხსიერების ემოციურ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს საბჭოთა რეპრესიების როგორც პიროვნულ (სტალინი, ბერია), ისე ეთნონაციონალურ პერსონიფიკაციას. ფრაზა – „ქართველებმა გაგვიკეთეს ეს“ – გენერალიზდება კონკრეტული გამოცდილებიდან და მიმართულია ეთნიკურ ქართველებზე, როგორც მთელ კატეგორიაზე. ამგვარი აღქმის შედეგად, საქართველოს სახელმწიფო და ქართული საზოგადოება რესპონდენტთა ნარატივებში ერთდროულად ფიგურირებენ როგორც ისტორიული სამშობლო, ისე უარყოფისა და სტიგმის წყარო. ეს დუალიზმი ქმნის იდენტობის წინააღმდეგობრივ სტრუქტურას, სადაც კუთვნილების გრძნობა და ემოციური ტკივილი თანაარსებობენ.

სახელმწიფოს სტიგმატურ პოლიტიკას განაპირობებს სხვა გარემოებებიც, კერძოდ:

რეპატრიაციის პროცესის დაგვიანება – საქართველოს პარლამენტმა რეპატრიაციის შესახებ კანონი მხოლოდ 2007 წელს მიიღო, თითქმის ორი ათეული წლის დაგვიანებით. კანონის პრაქტიკული განხორციელება დამატებით შეფერხდა ბიუროკრატიული ბარიერების და სირთულეების გამო და რეალურად მხოლოდ 2012 წლიდან დაიწყო.

სტიგმა და სოციალური გამიჯვნა – ქართულ საზოგადოებაში დღემდე გავრცელებულია ენობრივი, რელიგიური და ეთნიკური სტერეოტიპები, რაც ხელს უშლის მუსლიმი მესხების ინტეგრაციას. ისინი ხშირად განიხილებიან, როგორც „სხვები“ კულტურულ და ეთნიკურ იერარქიებში.

ეთნიკური შეუთავსებლობის ნარატივი – მუსლიმი მესხები თითქმის ყველგან აღიქმებიან არა როგორც „ნამდვილი ქართველები“, არამედ როგორც „თურქები“ ან „დემოგრაფიული საფრთხე“ ქართულ იდენტობასა და სახელმწიფოს ერთიანობისთვის. ეს ნარატივი კიდევ უფრო ამძაფრებს ჯგუფის ტრავმულ განცდას და აჩენს ემოციურ დისტანციას როგორც სახელმწიფოსგან, ასევე ფართო საზოგადოებისგან.

სტიგმის გავლენა ტრანსნაციონალურ თვითდამკვიდრებაზე. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებსა და საზოგადოებაში არსებული სტიგმატური ნარატივები არა მხოლოდ ამყარებს ისტორიული ტრავმის განცდას, არამედ გავლენას ახდენს მუსლიმ მესხთა ტრანსნაციონალურ თვითდამკვიდრებაზე. სტიგმა, როგორც სოციალურ-ემოციური ბარიერი, ხელს უწყობს ჯგუფის წევრების მიერ ახალი იდენტობის სტრატეგიების შემუშავებას. ეს სტრატეგიები მოიცავს:

- **ტრანსნაციონალური სოციალური ქსელების გაძლიერებას**, რომლებიც ემოციურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას სთავაზობენ ჯგუფის წევრებს სხვადასხვა ქვეყანაში;
- **ჰიბრიდული ადაპტაციის მოდელების განვითარებას** – ახალ კულტურულ სივრცეებთან წარმატებული შერწყმის მიზნით;
- **სიმბოლური სამშობლოს კონსტრუქციას**, რომელიც აკავშირებს ისტორიულ წარსულსა და დღევანდელ გამოცდილებას.

ტრავმის ნარატივი და სტიგმა ამ პროცესებში ერთდროულად მოქმედებენ, როგორც წინააღმდეგობის მოტივატორი და როგორც იდენტობის მოქნილი, ტრანსტერიტორიული მოდელის ჩამომყალიბებელი ფაქტორები.

ტრავმა, როგორც გადამუშავებული მეხსიერება. დეპორტაციისა და განდევნის გამოცდილება მუსლიმ მესხთა კოლექტიურ მეხსიერებაში გადაიქცა არა უბრალოდ ისტორიული მოვლენის გახსენებად, არამედ როგორც რემოციური და სიმბოლური ღერძი, რომელიც აყალიბებს ჯგუფის თვითშეგნებასა და სოციალურ პრაქტიკებს.

ეს ტრავმული მეხსიერება ტრანსფორმირდა შემდეგ ელემენტებად:

კოლექტიური მეხსიერების ემოციური ღერძი, რომელიც აერთიანებს თაობებს საერთო გამოცდილების გარშემო;

გარდა ამისა, ჰირშის (Hirsch, 2012) მიდგომა გვთავაზობს განსხვავებულ ფოკუსს **პოსტმეხსიერების პრაქტიკაზე**, რომლის მეშვეობითაც ტრავმა გადაეცემა თაობი-

დან თაობაზე, ხშირად მათ შორის, ვისაც თავად არ გამოუცდია ეს ტრავმა პირადად; თუ კარუტი (Caruth, 1996) ტრავმას აფასებს, როგორც დროით ჩავარდნას, რომელიც ენობრივად რთულად არტიკულირდება, ჰირში (Hirsch, 2012) მას აყალიბებს პოსტმესხიერებით მართულ ნარატიულ ფორმად, რომელიც შთამომავლების მიერ ხდება კულტურულად გადამუშავებული და გაზიარებული.

ჰირშის (Hirsch, 2012) მიერ დანერგილი პოსტმესხიერების კონცეფცია განსაკუთრებით ახლოს დგას მეორე თაობის გამოცდილებასთან – იმ თაობასთან, რომელსაც თავად არ გამოუცდია ისტორიული ტრავმა, თუმცა მისი ემოციური მუხტი, სიჩუმე და შიშები მემკვიდრეობით მიიღო. ამ თაობისთვის ტრავმის გადმოცემის ფორმები ხშირად ფრაგმენტული და ენობრივად არასრულია; მათთან ნარატივი გადაიცემა მეტწილად ემოციური ნიშნების, ჟესტების, დუმილის ან რიტუალების გზით, რაც განაპირობებს მათი იდენტობის კონფლიქტურ და ამბივალენტურ ბუნებას – მერყეობას მესხიერებასა და დავინწყებას, მიკუთვნებასა და გაუცხოებას შორის.

ტრანსნაციონალური იდენტობის საფუძველი წარმოშობილია იმ პროცესებიდან, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა კულტურულ სივრცეებსა და ემოციურ კავშირებს. ის წარმოადგენს მრავალგანზომილებიან რეალობას, სადაც კულტურული მემკვიდრეობა, ტრავმული გამოცდილება და გლობალური მობილობა ერთიანდება ჰიბრიდული იდენტობის ფორმირების პროცესში.

მუსლიმი მესხების ტრავმული იდენტობა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ემოციური კავშირი ისტორიულ ფესვებთან – წარმოშობის ადგილთან დაკავშირებული სიმბოლური და მესხიერებითი ღირებულებები;
- რელიგიური და კულტურული ტრანსფორმაციები, რომლებიც წარმოშობს ჰიბრიდულ იდენტობის სტრატეგიებს;
- ტრავმული მესხიერება და ტრანსნაციონალური ადაპტაცია, როგორც სოციალური და ფსიქოლოგიური გადარჩენის მექანიზმები;
- თემური სოლიდარობა და შიდა სეგრეგაცია – ჯგუფის შიგნით არსებული თანაგრძნობის ქსელები და დაყოფები, როგორც ტრავმის სოციალურ-ისტორიული შედეგები;
- სტალინისა და ბერიას პერსონიფიცირებული სიმბოლოები, როგორც ძალადობრივი წარსულის კონცენტრირებული ნიშნები და ისტორიული პასუხისმგებლობის რეპრეზენტაცია;
- საქართველოს სახელმწიფოს სტიგმატური პოლიტიკა და ოფიციალური უწყურადღებობა, რაც რესპონდენტთა აღქმაში იდენტობის მარგინალიზაციას ასახავს;
- საერთო სოციალური უარყოფა, როგორც ისტორიული მარგინალიზაციის და საზოგადოებრივი სტიგმის გაგრძელება.

ყველა ეს კომპონენტი ერთიანდება ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) მოქნილ და ცვალებად სტრუქტურაში, რომელიც განსაზღვრავს მუსლიმ მესხთა სოციალურ და კულტურულ თვითშეგნებას როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე.

4.2 თაობათა შორის მეხსიერების გადაცემა და თაობათა განსხვავებები

4.2.1. პოსტმეხსიერება და ტრავმის გადაცემა

მუსლიმ მესხთა ტრავმული გამოცდილება თაობიდან თაობაზე უბრალოდ გადაეცემა, როგორც ფაქტობრივი ისტორია. ეს ცოდნა გარდაიქმნება ემოციურ და სიმბოლურ კონსტრუქციად, როგორც ჰირშის (Hirsch, 2012) რპოსტმეხსიერებისრთეორია ხსნის. ამ კონცეფციის მიხედვით, მეორე და მესამე თაობები ითვისებენ იმ ტრავმულ გამოცდილებას, რომელიც მათ პირადად არ ჰქონიათ განცდილი, თუმცა ემოციური და კულტურული გზებით მიენოდათ უფროსი თაობებისგან.

ტრავმის გადაცემის ძირითადი არხები:

1) ოჯახური ნარატივები და ზეპირი ისტორიები. ოჯახებსა და თემურ ქსელებში ვრცელდება ისტორიები დეპორტაციისა და გადაადგილებების შესახებ. უფროსი თაობები შვილებსა და შვილიშვილებს უყვებიან მათი საქართველოში კეთილმეზობლური ცხოვრების, შემდგომ გადასახლების და მრავალჯერადი ემიგრაციის ისტორიებს. ეს ნარატივები ქმნის ტრავმული მეხსიერების ქსელებს და წარმოადგენს თვითიდენტიფიკაციის მნიშვნელოვან რესურსს ახალგაზრდებისთვისაც, რომლებსაც თავად არ განუცდიათ ისტორიული ტრავმა.

„ბაბუაჩემი ყოველთვის გვიყვებოდა, როგორ წაიყვანეს ხალხი ვაგონებით და როგორ დაიღუპნენ ადამიანები გზაში მაშინ ვინ მოგვცემდა დაბრუნების უფლებას, კომენდანტის საათი იყო, მაგრამ ყველამ ვიცოდით საიდან ვიყავითო...“ (ქალი, 42 წლის, ინტერვიუ, 2025).

2) რიტუალები და რელიგიური პრაქტიკები. რელიგიური რიტუალები – მათ შორის დღესასწაულები, ღოცვები და ოჯახური შეკრებები – ინტერვიუირებული პირებისთვის არ არის მხოლოდ სარწმუნოებრივი პრაქტიკის ნაწილი; ისინი ფუნქციონირებენ, როგორც ძლიერი ემოციური ხიდეები წარსულსა და აწმყოს შორის. რესპონდენტთა აღწერაში ეს მოვლენები გამოჩნდება, როგორც წარსულის და მიმდინარე დროის გამაერთიანებელი გამოცდილებები, რომლებიც აძლიერებენ კავშირს განდევნილ სივრცესა და თანამედროვე ყოფას შორის. ამ ფონზე, რელიგიური რიტუალები იქცევა არა მხოლოდ სარწმუნოებრივ, არამედ მეხსიერების პრაქტიკად.

რიტუალებს ასრულებენ არა მხოლოდ რწმენის გამოსახატად, არამედ გამოიყენება, როგორც სტრატეგიული მექანიზმები თემური სოლიდარობის გასამყარებლად და ტრავმული მეხსიერების კოლექტიური დამუშავებისთვის. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ემოციური მეხსიერების გააქტიურებამ და რელიგიურ წარსულთან დაბრუნებამ, ხელი შეუწყო სულიერად გამყარებას და პირადი რწმენის გაღრმავებას. ერთ-ერთმა მათგანმა ხაზგასმით თქვა, რომ „რელიგია გახდა ის, რაც გვეხმარება, არ დაგვკარგოთ თავი“.

ამრიგად, რელიგიური პრაქტიკები მუსლიმი მესხებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ისინი იდენტობას ინარჩუნებენ და განსხვავებულ გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოებებში ახდენენ მის ადაპტირებას.

3) ენა და კულტურული კოდები. თურქული ენისა და ოსმალური თუ ქართული კულტურის ზოგიერთი ელემენტის დაცვა რესპონდენტთა ცნობიერებაში არ განისაზღვრება როგორც მხოლოდ კომუნიკაციის პრაქტიკული ინსტრუმენტი. პირიქით, ის ფუნქციონირებს როგორც მეხსიერების სტრატეგია, რომელიც ემსახურება ტრავმული გამოცდილებების ინტეგრაციასა და მათ თაობებისთვის გადაცემას.

როგორც ფიშმანი (Fishman, 1991) აღნიშნავს, ენა და კულტურული ნიშნები ხშირად იქცევა მეხსიერების ისეთ არხებად, რომლებიც ამსუბუქებენ ტრავმას და, ასევე, იდენტობის დაკარგვის შიშს. ამ კონტექსტში, ენის შენარჩუნება ერთდროულად იქცევა როგორც წინააღმდეგობის ფორმად, ისე ემოციური თვითგადარჩენის მექანიზმად.

4) სიმბოლური სამშობლოს კონსტრუქცია. ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია რესპონდენტთა ნარატივებში ჩნდება არა მხოლოდ როგორც ფიზიკური ადგილი, არამედ როგორც რემოციური და სიმბოლური სივრცე, რომელიც თაობათა იდენტობის ცენტრალურ ღერძს ქმნის. როგორც ნორა (Nora, 1989) წერს, მეხსიერების ადგილები ხშირად იძენენ მნიშვნელობას მათი ფიზიკური ხელმიუწვდომლობის პირობებში – სწორედ ამ გზით ფორმირდება ახალციხე კოლექტიური წარმოსახვის ნიალში. როგორც ავტორები აღნიშნავენ (Proshansky et al., 1983; Anderson, 1983), იდენტობა მყარდება არა მხოლოდ რეალურ, არამედ სიმბოლურ სივრცეებთან დაკავშირებით, რაც მუსლიმ მესხებში მკაფიოდ იკვეთება ახალციხესთან, როგორც მნიშვნელოვან ადგილთან მეხსიერებით კავშირში. რესპონდენტთა ნაამბობი ამას სრულად ასახავს:

„ბაბუაჩემმა იცოდა სათითაოდ ყველა სოფელი, სადაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ. იქ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მეც ვიცი ამ სოფლების დასახელება და ვიცი საიდან ვარ“ (კაცი, 25 წლის, ინტერვიუ, 2025).

ამგვარად, წარმოსახვითი „მშობლიური სივრცე“ არ საჭიროებს ფიზიკურ გამოცდილებას – ის გადაიცემა ემოციურად დატვირთული მეხსიერებით და თემურ ნარატივში ღრმად ფესვგადგმული მნიშვნელობებით.

5) თაობათა პერსპექტივის ცვლილება. მუსლიმი მესხების კოლექტიურ მეხსიერებაში ისტორიული ტრავმული მოვლენები – მათ შორის 1944 წლის დეპორტაცია და 1989 წლის ფერგანის კრიზისი – გადაიცემა არა როგორც ფიქსირებული ცოდნის ნეიტრალური ფრაგმენტები, არამედ როგორც ცოცხალი ემოციური სისტემა, რომელიც თაობებს განცდით მიეწოდება. ეს მეხსიერება, დროთა განმავლობაში, ტრანსფორმირდებარსოციალურ ნარატივებად, რომლებიც არა მხოლოდ იდენტობის საფუძველს ქმნიან, არამედ წარმართავენ ჯგუფის ადაპტაციის სტრატეგიებს მიგრაციასა და დიასპორულ ცხოვრებაში. როგორც მკვლევრები (Caruth, 1996; Hirsch, 2012) აღნიშნავენ, ტრავმული გამოცდილება არ სრულდება თვითონ ფაქტით – ის პოსტმეხსიერების ფორმით აგრძელებს არსებობას და სოციალური პრაქტიკის მნიშვნელოვან მუხტად გარდაიქმნება.

მუსლიმი მესხების შემთხვევაში, დეპორტაციისა და ემიგრაციის მტკივნეული გამოცდილებები ინარჩუნებენ ძლიერ ემოციურ დატვირთვას და გადაეცემა თაობიდან თაობას ტრავმის გადაცემის მექანიზმებით, რომელიც მოიცავს როგორც ზეპირად გამოცემულ ნათქვამს, ასევე ღუმელს, როგორც მეხსიერების ფორმას. სწორედ ამგვარ-

რი გზით იქმნება წარსულთან ისეთი კავშირი, რომელიც არა მხოლოდ ისტორიას, არამედ ხელს უწყობს იდენტობის ჩამოყალიბებას ანმყოში.

4.2.2 თაობათა განსხვავებული სტრატეგიები

რესპონდენტთა ნარატივებში მკაფიოდ იკვეთება განსხვავებული მიდგომები თაობათა შორის ტრავმული მეხსიერებისა და იდენტობის ფორმირების სტრატეგიებში. უფროსი თაობები განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს დაკარგულ სამშობლოში დაბრუნების სურვილს და კოლექტიური ღირსების აღდგენას. მათთვის სამშობლო წარსულში არსებული და გაუცხოების გზით დანაკარგად ქცეული ადგილია, რომლის მიმართ მეხსიერება იდენტობის კონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს. თუმცა, ახალგაზრდა თაობა ხშირად განსხვავებულ სტრატეგიას ირჩევს. ისინი თავიანთ იდენტობას ხშირად აღიქვამენ, როგორც ჰიბრიდულს – ერგებიან ახალ სოციალურ და კულტურულ გარემოს, თუმცა ინარჩუნებენ ემოციურ კავშირს წინაპართა ტრავმულ გამოცდილებასთან.

ერთ-ერთი ახალგაზრდა რესპონდენტი ამბობს:

„უზბეკეთში დავიბადე, რუსეთში გავიზარდე, ახლა ამერიკაში ვარ. მითხრეს, რომ ქართველი ვარ, მაგრამ პასპორტში თურქი მინერია. ვცდილობ გავიგო, ვინ ვარ“ (კაცი, 39 წლის, ინტერვიუ, 2025).

ბაბას (Bhabha, 1994) ჰიბრიდულობის თეორიის თანახმად, ასეთი იდენტობა ვითარდება ეგრეთ წოდებულ „მესამე სივრცეში“, სადაც სხვადასხვა კულტურული სისტემები ერთმანეთს კვეთენ, იშლება ნაცნობი საზღვრები და იქმნება ახალი, შეთანხმებული მნიშვნელობები.

ეს ჰიბრიდულობა, ზოგ შემთხვევაში, თანაცხოვრების ფორმაა არა მხოლოდ კულტურულ მრავალფეროვნებასთან, არამედ საკუთარ თავთანაც. როგორც ერთ-ერთი ქალი რესპონდენტი ამბობს:

„ჩემი წინაპრები ამბობენ, რომ საქართველოდან ვარ, მაგრამ აქ, ამერიკაში ზუსტად ვიცი, რომ თურქი ვარ და ამავდროულად – ამერიკელიც“ (ქალი, 30 წლის, ინტერვიუ, 2025).

ეს ციტატა კარგად ასახავს იმ ამბივალენტურობას, რომელსაც ახალგაზრდები განიცდიან – ერთდროულად არიან კავშირის, დანაკარგისა და თვითგანსაზღვრის (თვითიდენტიფიკაციის) პროცესში. სწორედ ამ მრავალსაფეხურიანი იდენტობის ფორმები განაპირობებს მათ ყოველდღიურობაში მკაცრ ბინარულ დაყოფაზე უარისმთქმელ და დინამიკურ თვითშეგარდნებას.

4.2.3 თაობათა შორის დისონანსი და დიალოგი

თაობათა შორის განსხვავებები ზოგჯერ ქმნის კოგნიტურ დისონანსს (Festinger, 1957), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალ თაობებს უწევთ სამშობლოს დაკარგული გეოგრაფიული სივრცისა და ახალ სოციალური გარემოების შეთავსება. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, არსებობს ღია დიალოგი თაობებს შორის, რაც ხელს უწყობს კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნებასა და ტრავმის გამოცდილების თანამედროვე ინტერპრეტაციას.

ტრავმის ნარატივი: მეხსიერება, სივრცე და თაობათა იდენტობა მუსლიმ მესხებში

ინტერვიუს მონაწილე ახალგაზრდა ქალი აღნიშნავს:

„მე არ მინახავს ის სოფლები, საიდანაც ვიყავით, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩვენი ოჯახი იქიდან იყო და ეს საკმარისია ჩემთვის“ (ქალი, 24 წლის, ინტერვიუ, 2025).

თაობათაშორისი მეხსიერების გადაცემა მუსლიმ მესხთა ნარატივებში მრავალმხრივ პროცესად განიხილება: ის არ არის მხოლოდ წარსულის ფაქტობრივი ცოდნის გადაცემა, არამედ ემოციური, სიმბოლური და კულტურული კონსტრუქციაა, რომელიც ცოცხლდება ყოველდღიურ პრაქტიკებში, ენაში და ოჯახურ ისტორიებში. თაობათა შორის განსხვავებები ასახავს ადაპტაციის სხვადასხვა სტრატეგიებს – უფროსები ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებაზე აკეთებენ აქცენტს, ახალგაზრდები კი ჰიბრიდულ იდენტობასა და ახალ გარემოებებთან შეგუებაზე. მიუხედავად განსხვავებებისა, თაობათა დიალოგი უზრუნველყოფს ტრავმული მეხსიერების გაგრძელებას და მის დინამიკურ განვითარებას ტრანსნაციონალურ სივრცეებში.

4.3. გადაადგილებები და მრავალსივრციანი თვითიდენტიფიკაცია

მუსლიმი მესხების იდენტობა ისტორიულად ყოველთვის დაკავშირებული იყო გადაადგილებასთან და მობილობასთან, თუმცა საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა იძულებითმა დეპორტაციამ ეს მობილობა ტრანსტერიტორიული და ემოციური იდენტობის სისტემად გარდაქმნა. თანამედროვე პირობებში მათი იდენტობა ვეღარ ეფუძნება ერთ გეოგრაფიულ სივრცეს. პირიქით, ის ყალიბდება მრავალ ადგილას და ემოციური კავშირების ქსელებში. დეპორტაციის შედეგად მუსლიმი მესხების კოლექტიური თვითშეგნება გაფანტულ სივრცეებში დამკვიდრდა და ფიზიკური ლოკაციის ნაცვლად ემოციურ და სიმბოლურ კავშირებზე აიგო.

ძირითადი გადაადგილებების ეტაპები:

პირველი ტალღა (1944) – ცენტრალური აზია (უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი);

მეორე ტალღა (1989–1991) – რუსეთი (განსაკუთრებით კრასნოდარის მხარე) და აზერბაიჯანი;

მესამე ტალღა (2005-დღემდე) – შეერთებული შტატები.

დღეს მუსლიმი მესხები სახლობენ საქართველოს, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების: აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ყაზახეთის და უზბეკეთის, თურქეთისა და აშშ-ის სხვადასხვა რეგიონში. მათი იდენტობა ჩამოყალიბდა მრავალ სოციო-გეოგრაფიულ სივრცეში და ტრანსნაციონალურ კონტექსტებში, სადაც ემოციური კავშირები ხშირად აჭარბებს კონკრეტულ ფიზიკურ სივრცეს.

„ჩემი ფესვები საქართველოდან მოდის, მაგრამ ცხოვრებამ მრავალ ქვეყანაში გამატარა. ვინ ვარ მე? ჩვენები ახლა ყველგან არიან და არცერთ კონკრეტულ ადგილას სრულად“ (მამაკაცი, 47 წლის ინტერვიუ, 2025).

4.3.1 ტრავმა და პოსტმეხსიერება

სტალინისდროინდელი დეპორტაცია და 1989 წლის ფერგანის კონფლიქტი მუსლიმ მესხთა კოლექტიური მეხსიერებისთვის არა მხოლოდ ინდივიდუალური ტრავმული გამოცდილებაა, არამედ თაობათაშორისი მეხსიერებისა და კულტურული გადაცემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია.

ჰირში (Hirsch, 2012) და ალექსანდერი (Alexander, 2004) ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტრავმული გამოცდილება საზოგადოებაში პოსტმენსიერების გზით ტრანსფორმირდება – ახალი თაობები მას არ აღიქვამენ, როგორც მხოლოდ ისტორიულ ფაქტს, არამედ როგორც ემოციურ და სიმბოლურ რეალობას, რომელიც მათ იდენტობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ამ კონტექსტში ცხადი ხდება, რომ ეს პროცესი მუსლიმ მესხთა თემში ხელს უწყობს ჯგუფური იდენტობის კონსოლიდაციას და სოციალური სოლიდარობის შენარჩუნებას ტრანსნაციონალურ და მრავალლოკალურ კონტექსტებში. ტრავმა არ რჩება სტატიკურ მოგონებად; ის გადადის თაობებს შორის და ახალ სოციალურ სივრცეებში ხელახლა კონსტრუირდება, ემოციური და კულტურული მნიშვნელობებით გამდიდრებული.

4.3.2. კულტურული წინააღმდეგობა და ადაპტაცია

ტრავმული ისტორიის პარალელურად, მუსლიმმა მესხებმა წარმატებით განავითარეს კულტურული წინააღმდეგობისა და ადაპტაციის მოქნილი მოდელები, რომლებიც ემსახურება როგორც კოლექტიური იდენტობის შენარჩუნებას, ასევე ახალი სოციალურ-კულტურულ გარემოებებთან ინტეგრაციას.

ძირითადი სტრატეგიები მოიცავს:

ენობრივი მიდგომები – თითქმის ყველა ოჯახი ცდილობს შეინარჩუნოს თურქული ენა სახლში, რაც ისტორიული მესხიერებისა და წინააღმდეგობის ფორმაა; სხვები კი ითვისებენ ქართულს, ინგლისურს ან იმ ენებს, რომლებიც ახალ საცხოვრებელ გარემოებებში დომინირებს.

რელიგიური პრაქტიკა – ისლამური რიტუალები ისტორიულად ასრულებდა წინააღმდეგობის და იდენტობის დაცვის როლს საბჭოთა რეპრესიებისა და სტიგმატიზაციის პირობებში. დღესდღეობით, როდესაც მუსლიმი მესხები მეტი რელიგიური თავისუფლებით სარგებლობენ, ეს პრაქტიკა გადაიქცა კულტურული თვითმყოფადობის ღია და გამყარებულ ფორმად, რომელიც ემსახურება როგორც რწმენის გამოხატვას, ასევე სოციალური სოლიდარობის განმტკიცებას.

სოციალური ქსელები – თემური და ოჯახური კავშირები იქცა სოციალური მხარდაჭერის მყარ სისტემად, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ემოციურ, ისე პრაქტიკულ დახმარებას ტრანსნაციონალურ კონტექსტებში. ეს ქსელები არ შემოიფარგლება მხოლოდ ლოკალური სივრცეებით; ისინი შენდება და მყარდება ტრანსტერიტორიულად, მათ შორის საქორწინო ჯაჭვების მეშვეობით. მუსლიმ მესხთა ოჯახები, კულტურული და სოციალური წესების შესაბამისად, იშვიათად ქორწინდებიან თემის გარეთ, რაც აძლიერებს ერთობლივ სოციალურ ქსელებს და ინარჩუნებს შიდა სოლიდარობას.

ქორწინებითი კავშირები, როგორც სოციალურ ქსელებში სტრუქტურული ერთეული, გადაჭიმულია სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში – ყაზახეთიდან ამერიკამდე, ყირგიზეთიდან აზერბაიჯანამდე, თურქეთიდან დასავლეთ ევროპამდე და აშშ-მდე. ეს კავშირები ხშირად აკონტროლებენ არა მხოლოდ ოჯახის შიგნით ურთიერთობებს, არამედ განსაზღვრავენ სოციალურ მხარდაჭერას, მობილობის შესაძლებლობებს და

ჯგუფის იდენტობის შენარჩუნების სტრატეგიებს. პრაქტიკაში, ეს ქსელები „საზღვრებს არ სცნობს“ და ფუნქციონირებს, როგორც ემოციური, ეკონომიკური და იდენტობის გადაცემის მექანიზმი ტრანსნაციონალურ არეალებში.

„დედაჩემის ბიძაშვილი ყაზახეთიდან ჩამოვიდა და ჩემმა ძმამ შეირთო. მე ამერიკაში ვარ და აქაც ჩვენი თემის ხალხი მყავს ახლობლად. ჩვენ ყველგან ეპოულობთ ერთმანეთს, რადგან გვესმის, რომ მხოლოდ ერთმანეთზე შეგვიძლია დაყრდნობა“ (ქალი, 30 წლის, ინტერვიუ, 2025).

კულტურული წინააღმდეგობა და ადაპტაცია მუსლიმი მესხების იდენტობაში არა ურთიერთსაწინააღმდეგო, არამედ ურთიერთდამაკავშირებელი პროცესებია. ისინი ერთად ქმნიან რიგობრივ იდენტობის სივრცეს, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ახალი სოციალური გარემოს მოთხოვნებთან ადაპტაციას.

მუსლიმი მესხების შემთხვევაში, მიუხედავად სოციალური და პოლიტიკური დისკრიმინაციისა, ჯგუფმა შეინარჩუნარჩენის, **რელიგიური რიტუალებისა და თემური სოლიდარობის** მემკვიდრეობა. სკოტი (Scott, 1990) და ფიშმანი (Fishman, 1991) მიუთითებენ, რომ მარგინალიზებული და სოციალური წნეხის ქვეშ მყოფი ჯგუფები წინააღმდეგობის უნიკალურ ფორმებს ავითარებენ. ასეთ სტრატეგიებში ენოვანი და კულტურული ტრადიციების შენარჩუნება არა მხოლოდ თავდაცვის მექანიზმად ფუნქციონირებს, არამედ **კულტურული წინააღმდეგობის**, გადარჩენისა და თვითიდენტობის გადაცემის აქტიურ ინსტრუმენტად იქცევა. მუსლიმი მესხების შემთხვევაში, ეს წინააღმდეგობის ფორმები, რიგობრივ სტრატეგიებთან ერთად, უზრუნველყოფს ჯგუფის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და ადაპტაციას ცვალებად ტრანსნაციონალურ გარემოებებში.

4.3.3 ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა, როგორც მოქნილი სისტემა

ყველა ზემოთ განხილული კომპონენტი – საზღვრების გადალახვა, ტრავმა, კულტურული წინააღმდეგობა, რიგობრივობა და სიმბოლური სამშობლოების კონსტრუქცია – სრულიად ეხმიანება **ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) მოქნილ** და მრავალშრიან სისტემას.

ამ იდენტობის მახასიათებლებია:

- ისტორიული ტრავმის ემოციური შრეების შენარჩუნება;
- რიგობრივ ადაპტაციის მოდელების განვითარება;
- ტრანსნაციონალური კავშირების გამოყენება, როგორც სოციალური და ემოციური კაპიტალის წყარო;
- დაკარგულ ფიზიკურ ლოკაციებთან სიმბოლური და ემოციური კავშირების კონსტრუქცია.

საბოლოოდ, ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობა გარდაიქმნება არა მხოლოდ გადარჩენის სტრატეგიად, არამედ სოციალური **ინოვაციის ფორმად**, რომელიც აერთიანებს წარსულსა და აწმყოს მრავალგეოგრაფიულ და ემოციურ სივრცეებში (Pirtskhalava, 2014; 2016; 2018; Pirtskhalava & Burova, 2018; Pirtskhalava et al., 2023).

4.4. გენდერული განსხვავებები მეხსიერების პრაქტიკებსა და იდენტობის ფორმირებაში

მიღებული ინტერვიუების ანალიზმა ცხადყო, რომ ტრავმული მეხსიერების გადაცემა, რიტუალებში მონაწილეობა და სიმბოლური სივრცეების აღქმა გენდერულად დიფერენცირებული პრაქტიკებია, რაც აისახება როგორც შინაარსობრივად, ისე ნარატიულ სტილში. ქალთა ნარატივებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოჯახურ ისტორიებსა და რელიგიურ პრაქტიკებში მონაწილეობას. ქალები, როგორც ოჯახის შიგნით მეხსიერების გადამცემები, ხშირად აღწერენ ტრავმულ გამოცდილებებს, როგორც ემოციურ, ყოველდღიურ და ოჯახურ კონტექსტში ჩასმულ ისტორიებს:

„ბებია ხშირად გვიყვებოდა, როგორ წაიყვანეს მამამისი შუალამისას... ბავშვობაში ვერც ვხვდებოდი, რატომ ტიროდა ხოლმე ლოცვისას“ (ქალი, 38 წლის, ინტერვიუ, 2023);

„ჩვენ სახლში ყველა დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნებოდა – არ იყო უბრალოდ რელიგიური, ეს იყო ბაბუას სამშობლოს მოგონება... ჩვენთვის ახალციხე არასოდეს ყოფილა უბრალოდ ქალაქი“ (ქალი, 41 წლის, ინტერვიუ, 2025).

მამაკაცების ნარატივებში კი ტრავმა უფრო ხშირად იძენს პოლიტიკურ და ისტორიულ ჩარჩოს. მათ ნაამბობში გამოკვეთილია ხანგრძლივი განცდები გარიყვაზე, სამშობლოში წარუმატებელ დაბრუნებაზე და ღირსების აღდგენის საჭიროებაზე:

„ჩემმა ბაბუამ ოცნებად წაიღო დაბრუნება ახალციხეში, მაგრამ ვეღარ შეძლო. ამას ვერ ვაპატიებ საქართველოს მთავრობასაც და ისტორიასაც“ (კაცი, 54 წლის, ინტერვიუ, 2021);

„მე აღარ ველოდები არაფერს. ჩემი ბავშვობა ფერგანაში დარჩა, ახლა ამერიკაში ვარ, მაგრამ მაინც თურქად მთვლიან. ქალებს ცოტა სხვანაირად შეუძლიათ ადაპტირება“ (კაცი, 35 წლის, ინტერვიუ, 2023).

გენდერული განსხვავებები თავს იჩენს რიტუალებში მონაწილეობისა და ემოციური გამოხატვის ფორმებშიც. ქალები აქტიურად მონაწილეობენ რელიგიურ რიტუალებსა და ოჯახურ შეკრებებში, რაც ხშირად ინტერპრეტირდება, როგორც მეხსიერების შენარჩუნების პრაქტიკა. კაცების შემთხვევაში, სიჩუმე, შინაგანი წინააღმდეგობა და პოლიტიკურ ნარატივზე კონცენტრირება ხსნის მათი ემოციური მეხსიერების სხვაგვარ სტრუქტურირებას. ამ განსხვავებულ ნარატიულ სტრატეგიებზე დაყრდნობით, კვლევა აჩვენებს, რომ ტრავმული მეხსიერება და იდენტობის კონსტრუქცია გენდერულად სპეციფიკურია და ემყარება როგორც კულტურულ როლებს, ისე სოციალურ მოლოდინებს. ქალები ხშირად ქმნიან ემოციურად შეფერილ, ინტიმურ და ოჯახურ ნარატივებს, მაშინ როცა კაცები ტენდენციურად განიხილავენ ტრავმას, როგორც კოლექტიურ ისტორიულ უსამართლობასა და პოლიტიკური აღიარების მოთხოვნას. გენდერული ნარატიული განსხვავებები არა მხოლოდ ცვლის ტრავმის გადაცემის ფორმებს, არამედ ქმნის განსხვავებულ იდენტობის არქიტექტურებს მიგრაციის, დიასპორის და ტრანსნაციონალური ცხოვრების პირობებში.

თაობათა სტრატეგიების დიფერენციაცია და ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის მდგრადობა. თაობათა შორის განსხვავებები ნათლად აჩვენებს, რომ

ტრავმის ნარატივი: მეხსიერება, სივრცე და თაობათა იდენტობა მუსლიმ მესხებში

მუსლიმი მესხების ტრავმული მეხსიერება და იდენტობის ფორმირების პროცესები დინამიკურია და დროში იცვლება. უფროსი თაობა ტრადიციულ იდენტობასა და ტრავმული მეხსიერების დაუზიანებელ გადაცემას ცდილობს, მაშინ როდესაც საშუალო და ახალგაზრდა თაობები ამ გამოცდილებას ადაპტირებენ ახალი სოციალური და კულტურული რეალობების შესაბამისად. ეს სტრატეგიები ემყარება როგორც ემოციურ ღირებულებებს, ასევე პრაქტიკულ საჭიროებებს და აჩვენებს TTI-ის მოქნილობას. რბაბას (Bhabha, 1994) „მესამე სივრცის“ თეორიის შესაბამისად, ეს განსხვავებები არ არის კონფლიქტური ან წინააღმდეგობრივი; პირიქით, ისინი იდენტობის მდგრადობას უზრუნველყოფენ და ადაპტაციის უნარს ზრდიან.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილები დეტალურად ასახავს თაობათა შორის განსხვავებულ სტრატეგიებს და ადასტურებს, რომ ტრავმული მეხსიერების და ჰიბრიდული ადაპტაციის სინთეზი წარმოადგენს ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) ძირითად სტრუქტურულ ღერძს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია განსხვავებული სტრატეგიები მუსლიმ მესხების სხვადასხვა თაობაში.

ცხრილი 2. თაობათა სტრატეგიების შედარება მუსლიმ მესხებში

ასპექტი	უფროსი თაობა	ახალგაზრდა თაობა
ტრავმული მეხსიერების აღქმა	უშუალო გამოცდილების საფუძველზე, პირადი და კოლექტიური ტკივილი	გადმოცემული ნარატივი და სიმბოლური მეხსიერება
იდენტობის სტრატეგია	ტრადიციული იდენტობის შენარჩუნება	ჰიბრიდული იდენტობის ფორმირება
ენა და კულტურა	ქართული წარმოშობის აღიარება, თურქული ენისა და ისლამური ტრადიციების შენარჩუნება	მრავალენოვანი კომუნიკაცია, კულტურული სინთეზი
სამშობლოს აღქმა	სიმბოლური სამშობლო – ახალციხე	სიმბოლური და ტრანსნაციონალური სივრცეები
ადაპტაციის სტრატეგიები	სოციალური ერთიანობის და რიტუალების დაცვა	გლობალურ და ლოკალურ კულტურებთან ინტერაქცია

თაობათა შორის განსხვავებები მუსლიმ მესხებში აჩვენებს, რომ ტრავმული მეხსიერება და იდენტობის ფორმირება არის დინამიკური და მოქნილი პროცესი. უფროსი თაობა განაგრძობს ტრადიციული იდენტობის და ტრავმული მეხსიერების გადაცემას, მაშინ, როცა ახალგაზრდა თაობა ამ გამოცდილებას ადაპტირებს ახალ სოციალურ და კულტურულ კონტექსტებში. ცხრილი 3 ნათლად წარმოადგენს განსხვავებებს თაობებს შორის ტრავმის აღმაშენებელი, იდენტობის სტრატეგიებსა და კულტურულ ადაპტაციაში.

ცხრილი 3: თაობათა შორის განსხვავებული სტრატეგიები მუსლიმ მესხებში

თაობა	ტრავმის აღქმა	იდენტობის სტრატეგია	კულტურული ადაპტაცია
უფროსი თაობა (დაბადებული 1940-1970)	ძლიერი ემოციური მიბმულობა 1944 წლის დეპორტაციის მესხიერებაზე	ტრადიციული იდენტობის შენარჩუნება; სიმბოლური სამშობლოს აღდგენის იმედი	მშობლიური ენის და რელიგიური რიტუალების მაქსიმალური შენარჩუნება
საშუალო თაობა (1970-2000)	ტრავმის გადატანა ყოველდღიურ ნარატივებში; ტრავმული მესხიერების გადაცემა შვილებზე	შერეული სტრატეგიები – ტრადიციულის და ახალი იდენტობის შერწყმა	ნაწილობრივი ადაპტაცია: კულტურულ სტანდარტებთან შერწყმა ყოველდღიურ პრაქტიკაში
ახალგაზრდა თაობა (2000 წლის შემდეგ)	ტრავმის შესახებ ირიბი ცოდნა; ემოციური, მაგრამ დისტანცირებული დამოკიდებულება	ჰიბრიდული იდენტობა; ახალ გარემოსთან ინტეგრაცია და სიმბოლურ სამშობლოსთან ემოციური კავშირი	ენობრივი და კულტურული ჰიბრიდულობა; გლობალური იდენტობის ჩამოყალიბება

ეს პროცესი ადასტურებს ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) მოდელის ძირითად პრინციპს – ისტორიული ტრავმის და ჰიბრიდული ადაპტაციის სინთეზს. თაობათა სტრატეგიები აერთიანებს წარსულის ემოციურ ღირებულებებს და ახალი გარემოს გამონეგებზე პასუხის გაცემის უნარს, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური იდენტობის მდგრადობას გლობალური მობილობის პირობებში.

5. დისკუსია

შედეგების შესაბამისობა თეორიულ ჩარჩოებთან. დასკვნებმა დაადასტურა, რომ მუსლიმი მესხების ტრავმული მესხიერება და იდენტობის ტრანსფორმაცია შეესაბამება როგორც ტრავმული მესხიერების (Alexander, 2004; Hirsch, 2012), ისე კოლექტიური ტრავმის თეორიას (Eyerman, 2001). ინდივიდუალური და თაობათაშორისი გამოცდილებები საზოგადოებრივ ნარატივებად ტრანსფორმირდა და გახდა იდენტობის კონსტრუირების ძირითადი კომპონენტი. პოსტმესხიერების (postmemory) მექანიზმები გამოვლინდა ოჯახურ ისტორიებში, რიტუალებში, ენასა და სიმბოლურ პრაქტიკებში, რაც სრულად ადასტურებს ჰირშისა (Hirsch, 2012) და ეიერმანის (Eyerman, 2001) თეორიულ მოდელებს.

ჰიბრიდულობა და ადაპტაციის სტრატეგიები. ბაბას (Bhabha 1994) „მესამე სივრცის“ თეორია და გამსახურდიას (Gamsakhurdia, 2019) პროკულტურაციის კონცეფცია ნათლად აისახა მუსლიმ მესხთა ჰიბრიდულ ადაპტაციის სტრატეგიებში.

ტრავმის ნარატივი: მესხიერება, სივრცე და თაობათა იდენტობა მუსლიმ მესხებში

ახალგაზრდა თაობები ქმნიან იდენტობის მოდელებს, რომლებიც აერთიანებს ისტორიული ტრავმის ემოციურ მემკვიდრეობას და თანამედროვე კულტურულ რეალიებზე მორგების საჭიროებებს. ამ სტრატეგიებმა შესაძლებელი გახადა ტრავმული გამოცდილებების გადახალისება და სოციალური თვითდამკვიდრება როგორც საქართველოს, ასევე გლობალურ ტრანსნაციონალურ სივრცეებში.

ტრანსნაციონალიზმი და ემოციური სივრცეები. ვერტოვეცის (Vertovec, 2009), ლევიტისა და გლიკ შილერის (Levitt & Glick Schiller, 2004) ტრანსნაციონალიზმის თეორიის თანახმად, მუსლიმმა მესხებმა ჩამოაყალიბეს ტრანსნაციონალური სოციალური ქსელები, რომლებიც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ემოციური და სოციალური კაპიტალის წყაროდ იქცა. მიუხედავად გეოგრაფიული გადაადგილებებისა, იდენტობა არ დაიშალა; პირიქით, გაძლიერდა სიმბოლური ადგილების კონსტრუქციით (Nora, 1989; Proshansky et al., 1983). „ახალციხის საფაშო“ და სხვა სიმბოლური ლოკაციები ემოციური იდენტობის მთავარ ღერძად რჩება.

შედარებითი პერსპექტივა სხვა ჯგუფებთან. კვლევის შედეგები თანხვედრაშია იმ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების გამოცდილებასთან, რომელთაც ტრავმული მესხიერება და იდენტობის ჰიბრიდული ადაპტაცია განიცადეს. მათ შორის:

რომა ხალხი (Hancock, 2002) – საუკუნეების განმავლობაში დევნილი ხალხი, რომელთაც კოლექტიური ტრავმა და წარმოსახვითი „Romanistan“-ის კონცეფცია ჩამოუყალიბდათ. *TTI პარალელი:* სიმბოლური სამშობლო და ტრავმული მესხიერება თაობათა გადაცემით.

პალესტინელი დევნილები (Sayigh, 2007) – ნაკბას შემდეგ თაობათა მესხიერებით ინარჩუნებენ სამშობლოს სიმბოლურ იდეას და ეროვნულ თვითმყოფადობას. *TTI პარალელი:* ტრავმის სოციალური ნარატივი და ტრანსნაციონალური თვითიდენტიფიკაცია.

ბოსნიელი მუსლიმები (Eastmond, 2006) – სრებრენიცას ტრავმის ფონზე შექმნეს ჰიბრიდული იდენტობები დასავლურ დიასპორებში. *TTI პარალელი:* ჰიბრიდული ადაპტაციის სტრატეგიები და ემოციური სივრცეები.

სიდჰში ინდოეთში (Gupta, 2009) – აფრიკულ წარმოშობაზე დაფუძნებული ჯგუფი, რომელმაც შეინარჩუნა კულტურული ელემენტები მრავალსაუკუნოვანი მარგინალიზაციის მიუხედავად. *TTI პარალელი:* კულტურული წინააღმდეგობა და სიმბოლური თვითდამკვიდრება.

ხარედი ებრაელები (Heilman, 1994) – ჰოლოკოსტისა და სხვა დევნის გამოცდილებების შემდეგ ჩამოაყალიბეს იდენტობის გადარჩენის სტრატეგიები სოციალური იზოლაციისა და ტრანსნაციონალური ქსელების მეშვეობით. *TTI პარალელი:* ტრავმული მესხიერება და ტრანსნაციონალური სოლიდარობის ქსელები.

წინა კვლევებთან ინტეგრაცია

ეს კვლევა ეყრდნობა ავტორის მიერ წლების განმავლობაში დაგროვებულ ემპირიულ მასალას და ადრინდელ პუბლიკაციებში წამოჭრილ თემატიკას:

რქორნინებისა და ოჯახური სტრუქტურების ცვლილებები – როგორ იმოქმედა მიგრაციამ და ახალი სოციალური გარემოებების ზეგავლენამ ოჯახურ როლებსა და ქორწინების ტრადიციებზე (Pirtskhalava, 2014, 2015);

იდენტობის რეკონსტრუქცია ახალ გარემოში – იდენტობის ადაპტაცია და ჰიბრიდული ფორმების ჩამოყალიბება მიგრანტთა ცხოვრებაში (Pirtskhalava, 2016, 2018);

სოციალური და სივრცობრივი იდენტობა საქართველოში – ემოციური და სიმბოლური სივრცეების მნიშვნელობა კულტურული თვითშეგნებისთვის (Pirtskhalava & Burova, 2018);

აკულტურაციული სტრატეგიები – ადაპტაციის მრავალფეროვანი მოდელები ტრანსნაციონალურ გარემოებებში (Pirtskhalava & Chechelashvili, 2014; Pirtskhalava & Gvetadze, 2018);

გენდერული ცვლილებები და როლების ტრანსფორმაცია – ტრავმული გამოცდილების გავლენა ოჯახურ და სოციალურ როლებზე (Pirtskhalava & Surmanidze, 2015; Pirtskhalava & Shanava, 2019);

წინამდებარე კვლევამ ამ მონაცემების ინტეგრაცია შესაძლებელი გახადა, რათა ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) თეორიული მოდელის გამყარება შესაძლებელი ყოფილიყო, როგორც ემპირიულად დადასტურებული და ანალიტიკურად მდგრადი ჩარჩო.

ახალი თეორიული მოდელის გაფართოება. კვლევამ ცხადყო, რომ ტრავმა, კულტურული წინააღმდეგობა და ჰიბრიდული ადაპტაცია არ არის განცალკევებული პროცესები. პირიქით, ისინი ურთიერთდაკავშირებულია და ერთობლივად ქმნიან ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI) მოქნილ და დინამიკურ მოდელს. TTI მოდელი სცდება მუსლიმ მესხთა კონკრეტული გამოცდილების ანალიზს და წარმოადგენს ფართო თეორიულ მოდელს, რომელიც შესაძლებელს ხდის სხვა იძულებით გადაადგილებული და ტრავმული მესხიერების მქონე ჯგუფების იდენტობის გააზრებასაც.

დასკვნა

მუსლიმი მესხების შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ ტრავმული იდენტობა არ არის უბრალოდ წარსულის ტკივილის არქივირებული ფორმა. ეს არის ცოცხალი და დინამიკური პროცესი, რომელიც აგრძელებს ჯგუფის სოციალური და კულტურული თვითშეგნების თანამედროვე სტრატეგიების ფორმირებას. მათი ისტორია – ოსმალური ეპოქიდან დაწყებული, საბჭოთა დეპორტაციით და თანამედროვე ტრანსნაციონალური გამოცდილებით დასრულებული.

კვლევის ძირითადი დასკვნები:

ტრავმული მესხიერება თაობათაშორისი გადაცემის გზით ტრანსფორმირდება სოციალურ ნარატივად, რომელიც კოლექტიური იდენტობის ძირითადი კონსტრუქცია ხდება.

სახელდებების ცვლილებები და სტიგმა არა მხოლოდ პოლიტიკური კლასიფიკაციის მექანიზმად, არამედ სოციალური ტრავმის მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა,

ტრავმის ნარატივი: მეხსიერება, სივრცე და თაობათა იდენტობა მუსლიმ მესხებში

რამაც გამოიწვია იდენტობის დესტაბილიზაცია და ჰიბრიდული სტრატეგიების ევოლუცია.

თაობათა განსხვავებები ასახავს ჰიბრიდულობისა და ადაპტაციის მრავალფეროვან მოდელებს: უფროსი თაობა ტრადიციულ მეხსიერებასა და კავშირებს ინარჩუნებს, ახალგაზრდები კი ახლებურად აკონსტრუირებენ თავიანთ ადგილს ტრანსნაციონალურ და კულტურულად ჰიბრიდულ სივრცეებში.

სიმბოლური სამშობლო და ემოციური სივრცე ქმნის კუთვნილების განცდის მდგრად საფუძველს იმ პირობებში, როდესაც ისტორიულ ტერიტორიებზე დაბრუნება ფაქტობრივად შეუძლებელია.

ტრანსნაციონალური სოციალური კაპიტალი და კულტურული წინააღმდეგობა, ჰიბრიდული ადაპტაციის სტრატეგიებთან ერთად, ქმნის მოქნილ იდენტობას, რომელიც ადაპტირებს როგორც ისტორიული ტრავმის მემკვიდრეობას, ასევე გლობალური მიგრაციის გამოწვევებს.

კვლევა ადასტურებს TTI მოდელის სისწორეს, როგორც ანალიტიკური ჩარჩოსა და კულტურულ პრაქტიკაში მის ფუნქციურობას.

თეორიული მნიშვნელობა:

კვლევა გვთავაზობს და ავითარებს **ტრანსტერიტორიული ტრავმული იდენტობის (TTI)** მოდელს, რომელიც აერთიანებს ტრავმის თეორიას, ჰიბრიდულობის და ტრანსნაციონალიზმის პარადიგმებს. ეს თეორიული ჩარჩო ფართო ანალიტიკურ შესაძლებლობას იძლევა იმ ჯგუფების შესწავლისთვის, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ისტორიული ტრავმისა და გლობალური გადაადგილების კომპლექსური პროცესების შედეგად.

პრაქტიკული მნიშვნელობა:

TTI მოდელის გააზრება მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური კვლევებისთვის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკისა და სოციალური ინტეგრაციის სტრატეგიებისთვის. ის ეხმარება პოლიტიკის შემმუშავებლებს უკეთ გააცნობიერონ დევნილთა და დიასპორული ჯგუფების სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური საჭიროებები და შემუშავდეს მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.

მუსლიმი მესხების ტრავმული ნარატივი და ტრანსტერიტორიული იდენტობა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ისტორიული ტკივილი გადაიქცეს ინოვაციურ, მოქნილ და სიცოცხლისუნარიან იდენტობის სტრატეგიად თანამედროვე გლობალურ სივრცეში.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცესი სცდება მხოლოდ მუსლიმ მესხების შემთხვევას.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები. კვლევის შეზღუდვად გამოიკვეთა ნარატიული მეთოდის სუბიექტურობა, გეოგრაფიული და თაობათა წარმომადგენლობის შეზღუდულობა. მომავალში საჭიროა გენდერული როლების, ტრანსნაციონალური ქსელების, ციფრული მეხსიერების გავლენის და, ასევე, TTI მოდელით სხვა თემებზე (იეზიდები, ბოსნიელები და სხვ.) შედარებითი ანალიზი.

მადლიერება

ავტორი გულწრფელად უხდის მადლობას სხვადასხვა ფონდებსა და აკადემიურ პროგრამებს, რომელთა მხარდაჭერის გარეშე ეს კვლევა ვერ განხორციელდებოდა ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვერც საქართველოში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: Carnegie Research Fellowship (2012), Rutgers-ის უნივერსიტეტი; OSI Faculty Development Program (2014), ილინოისის უნივერსიტეტი; Fulbright Visiting Scholar Program (2025), Rutgers-ის უნივერსიტეტი; Open Society Georgia Foundation, რომელმაც დააფინანსა საველე კვლევა საქართველოში (2017–2018).

ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის მუსლიმი მეცხების ოჯახებს, რომლებმაც გულწრფელად გაუზიარეს თავიანთი ცხოვრება და გამოცდილებები საქართველოში, აშშ-ში და დიასპორის სხვა ქვეყნებში. ასევე, მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლეგებს, დოქტორანტებს, რომელთა წვლილი კვლევის თეორიულ განვითარებაში უმნიშვნელოვანესი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alexander, J. C. (2004). Toward a theory of cultural trauma. In J. C. Alexander, R. Eyerman, B. Giesen, N. J. Smelser, & P. Sztompka (Eds.), *Cultural trauma and collective identity* (pp. 1–30). University of California Press.
- Assmann, A. (2011). *Cultural memory and Western civilization: Functions, media, archives*. Cambridge University Press.
- Aydingün, A. (2002). Creating, recasting, or resisting essentialized ethnic identities: Ahiska/Meskhetian Turks in Soviet and post-Soviet contexts. *Communist and Post-Communist Studies*, 35(3), 261–279.
- Aydingün, A., Harding, C., Hoover, M., Kuznetsov, I., & Swerdlow, S. (2006). Meskhetian Turks: An introduction to their history, culture, and resettlement experiences. Center for Applied Linguistics.
- Baramidze, G. (1998). *Islam and Muslim communities in Georgia: Past and present*. Tbilisi.
- Barry D. T. (2001). Development of a New Scale for Measuring Acculturation: The East Asian Acculturation Measure (EAAM); New Haven, Connecticut, *Journal of Immigrant Health*, Vol. 3, No. 4
- Bhabha, H. K. (1994). *The location of culture*. Routledge.
- Breakwell, G. M. (1986). *Coping with threatened identities*. Methuen.
- Bugai, N. F. (1994). *The deportation of peoples in the Soviet Union*. Nova Science.
- Bugai, N. F., & Mamaev, A. M. (2009). The Meskhetian Turks: Problems of migration and identity. *Caucasus Review*.
- Caruth, C. (1996). *Unclaimed experience: Trauma, narrative, and history*. Johns Hopkins University Press.
- Eastmond, M. (2006). Transnational returns and reconstruction of violent pasts: Bosnian refugees narrate homecoming. *Ethos*, 34(2), 175–202.

- Eyerman, R. (2001). *Cultural trauma: Slavery and the formation of African American identity*. Cambridge University Press.
- Festinger, L. (1957). *A theory of cognitive dissonance*. Stanford University Press.
- Fishman, J. A. (1991). *Reversing language shift: Theoretical and empirical foundations of assistance to threatened languages*. Multilingual Matters.
- Gamsakhurdia, L. (2019). Proculturation: A theoretical framework for understanding identity negotiation. *Culture & Psychology*, 25(2), 212–228.
- Gupta, A. (2009). The Siddi community in India: Maintaining identity through hybrid cultural forms. *Asian Ethnicity*, 10(2), 127–141.
- Hall, S. (1990). Cultural identity and diaspora. In J. Rutherford (Ed.), *Identity: Community, culture, difference* (pp. 222–237). Lawrence & Wishart.
- Hancock, I. (2002). *We are the Romani people*. University of Hertfordshire Press.
- Heilman, S. C. (1994). *Defenders of the faith: Inside ultra-Orthodox Jewry*. University of California Press.
- Hirsch, M. (2012). *The generation of postmemory: Writing and visual culture after the Holocaust*. Columbia University Press.
- Levitt, P., & Glick Schiller, N. (2004). Conceptualizing simultaneity: A transnational social field perspective on society. *International Migration Review*, 38(3), 1002–1039.
- Marushiakova, E., & Popov, V. (2001). *Gypsies in the Ottoman Empire: A contribution to the history of the Balkans*. University of Hertfordshire Press.
- Nora, P. (1989). Between memory and history: Les lieux de mémoire. *Representations*, (26), 7–24.
- Pirtskhalava, E. (2014). The effect of life in the U.S. on marriage process in Muslim Meskhetian families. *GESJ: Education Science and Psychology*, (3), 29.
- Pirtskhalava, E. (2015). Displacement effects on gender roles, and family structure: Muslim Meskhetians in the USA. *Sociology and Anthropology*, 3(10), 539–549.
- Pirtskhalava, E. (2016). The reshaping identity of deported people in a new environment. In *Bridging differences: Understanding cultural interaction in our globalized world* (pp. 95–109). Oxford: Inter-Disciplinary Press.
- Pirtskhalava, E. (2018). Being here and there: A case study of Muslim Meskhetians' identity and belonging, formation and reconstruction in the United States. *Caucasus Survey*. <https://doi.org/10.1080/23761199.2018.1519975>
- Pirtskhalava, E., & Burova, I. (2018). Muslim Meskhetians in Georgia: Social, ethnic, and place identity. *GESJ: Education Science and Psychology*, 2(48), 57–73.
- Pirtskhalava, E., & Chechelashvili, Z. (2014). Acculturation process of Muslim Meskhetian refugees in the United States. *GESJ: Education Science and Psychology*, (3), 29.
- Pirtskhalava, E., & Gvetadze, A. (2018). Acculturation of Muslim Meskhetians in Georgia. *GESJ: Education Science and Psychology*, 2(48), 74–90.
- Pirtskhalava, E., & Surmanidze, L. (2015). Identity strategies of Muslim Meskhetians (Meskhetian Turks) in cultural context. *Cultural and Religious Studies*, 3(2), 99–105.

- Pirtskhalava, E., & Shanava, I. (2019). Changes in gender relations in the families of repatriates: A study of the Georgian cases. *Psychology, Therapy, Rehabilitation and Sport*, B1, 64–77.
- Pirtskhalava, E., & others. (2023). *Visiting Muslim Meskhetians*. Tbilisi: TSU Ivane Javakhi-shvili Institute of History and Ethnology.
- Proshansky, H. M., Fabian, A. K., & Kaminoff, R. (1983). Place-identity: Physical world socialization of the self. *Journal of Environmental Psychology*, 3(1), 57–83.
- Sayigh, R. (2007). *The Palestinians: From peasants to revolutionaries*. Zed Books.
- Scott, J. C. (1990). *Domination and the arts of resistance: Hidden transcripts*. Yale University Press.
- Stewart, M. (1997). *The time of the gypsies*. Westview Press.
- Trier, T., & Khanzhin, A. (2007). The Meskhetian Turks at a crossroads: Integration, repatriation or resettlement? *European Centre for Minority Issues*.
- Vertovec, S. (2009). *Transnationalism*. Routledge.